№3-109 08.11.2017

სურსათის ეროვნული სააგენტოს

თბილისის საქალაქო სამსახურის

უფროსს ბატონ ვასილ ბასილაძეს

ბატონო ვასილ,

გმადლობთ ჩვენი 2017 წლის 18 ოქტომბრის წერილზე პასუხისათვის (N 09-2/11130), რომელიც ეხებოდა შპს ვასაძის პურის მიერ წარმოებულ ვაფლს, ტყვიის გადაჭარბებული შემცველობის აღმოჩენასთან დაკავშირებით.

ჩვენს წერილში მითითებული იყო პროდუქტის სახელწოდება, რომლითაც იგი იყიდებოდა, შესყიდვის ადგილი და თარიღი. წერილს თან ახლდა მაღაზიის მიერ გაცემული სასაქონლო ზედნადები, ქვითარი, ლაბორატორიული შემოწმების ოქმი და პროდუქტის ფოტო. პროდუქტი დაუფასოებელი იყო და მასზე არ იყო მითითებული პარტიის ნომერი, დამზადების თარიღი და ვარგისიანობის ვადა. გარდა ამისა, 2017 წლის 31 ოქტომბერს სააგენტოში გამოვაგზავნეთ აღნიშნული პროდუქტის განმეორებითი შემოწმების შედეგი, რომელმაც კიდევ ერთხელ გამოავლინა ტყვიის გადაჭარბებული ოდენობა.

მიღებული ინფორმაციის საფუძველზე სააგენტო ვალდებული იყო ოპერატიული რეაგირება მოეხდინა. თუკი, სააგენტოს ჩვენს მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე არ გაუჩნდა დასაბუთებული ეჭვი, რომ აღნიშნული პროდუქტი მავნე იყო და ჩათვალა, რომ არ არსებობდა საფუძველი ბაზარზე მისი განთავსების შეზღუდვისათვის/აკრძალვისათვის ან ბაზრიდან მისი ამოღებისათვის; სულ მცირე, მითითებული მაღაზიიდან თავადვე უნდა აეღო პროდუქტის ნიმუში და ლაბორატორიულად შეემოწმებინა. როგორც თქვენი წერილიდან ირკვევა, სააგენტო ასე არ მოქცეულა და თავად დაინტერესებული მხარის -- მწარმოებლის მიერ დაკვეთილი ლაბორატორიული კვლევის შედეგების მიღებით დაკმაყოფილდა, საიდანაც არ ჩანს შემოწმდა თუ არა იგივე პარტია, რომელიც 2017 წლის ოქტომბერში ჰიპერმარკეტ კარფურში (თბილისი მოლი) იყიდებოდა.

საკითხს აშუქებს მომხმარებელი
www.moxmarebeli.ge

გთხოვთ განგვიმარტოთ სააგენტოს ზემოაღნიშნული ქმედების საფუძვლები.

გთხოვთ პასუხი გამოგვიგზავნოთ ელექტრონული ფოსტის მისამართზე vakhtang@csrdg.ge.

პატივისცემით,

ვახტანგ კობალაძე

პროგრამის კოორდინატორი